პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობის ზრდა პროფესიული კვალიფიკაციების მართვის სფეროში

ნინი თავხელიძე

თინათინ ხარშილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

აბსტრაქტი

პროფესიული განათლების სარგებლიანობიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში მზარდია. მას შემდეგ, რაც 2005 წელს საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის პროცესი დაიწყო, საკითხი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამ ეტაპზე უნარების სააგენტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მუშაობს პროფესიული ორიენტაციისა და კვალიფიკაციების განვითარებაზე. წინამდებარე კვლების ფარგლებში განისაზღვრა თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სააგენტო აღნიშნულ პროცესში, რომელი წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა არის საქართველოში შესაძლებელი და როგორ უნდა ჩაშენდეს კვალიფიკაციის აღმწერ დოკუმენტში პროფესიული ორიენტაციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კვლევა ეფუძნება პრაქტიკის კვლევის მთავარ პრინციპებს, მოიცავს დიაგნოსტიკის, ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ინდივიდისა და სამუშაო გარემოს თანხვედრის მოდელი (Person- Environment Fit), ჰოლანდის პროფესიული არჩევანის თეორია და სამუშაოს მორგების თეორია (Theory of Work Adjustment/TWA). O*NET - პროფესიების საინფორმაციო ქსელსა და მსოფლიო უნარების ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ინტერვენციის ეტაპზე ქართულ ენაზე ითარგმნა და შემუშავდა 8 კითხვარი, რომლის პილოტირებაც მცირე ჯგუფებზე მოხდა. კვლევის შედეგად, უნარების სააგენტოსთვის შეიქმნა ინსტრუმენტები, რომელიც პროფესიული ორიენტაციისა და კვალიფიკაციების განვითარების პროცესში დიდ როლს ითამაშებს.

Abstract

Due to the benefits of vocational education, its importance in the modern world is growing. Since 2005, when the process of reforming vocational education in Georgia began, the issue has become more and more urgent. At this stage, the Skills Agency is working with the Ministry of Education and Science of Georgia to develop professional orientation and qualifications. The present study identified the challenges the agency faces in this process, successful international practices which can be introduced in Georgia, and the method of including the important information for professionalization in the qualification document. The research is based on the main principles of practice research, including the stages of diagnosis, planning, implementation, and evaluation of interventions. The theoretical basis of the paper is the Person-Environment Fit, the Dutch Professional Choice Theory, and the Theory of Work Adjustment (TWA). O*NET - Based on the information network of professions and Global Skills Taxonomy, 8 questionnaires were translated into Georgian and developed during the intervention phase. The abovementioned questionnaires were piloted in small groups. As a result of the research, tools have been developed for the Skills Agency that will play a major role in the process of professional orientation and qualification development.